ვამტკიცებ
შპს „თელმიკოს" საოპერაციო დირექტორის
მ/შ ა. ხვისიანი

___ ____________ 2026წ.

# ტექნიკური დავალება
# საწვავის შეძენა შპს „თელმიკოს"ავტოტრანსპორტისთვის
# (შკპწ 2026, ლოტი № 683.26.00081)

## 1.შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერა

### 1.1. შესასყიდი საქონლის დასახელება

ცხრილი №1

| № | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთეული | საორიენტაციო რაოდენობა | | ტექნიკური მოთხოვნა იხ.პუნქტი | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | თვე | წელი | 5 | 6 | 7 |
| 1 | ბენზინი „პრემიუმი" | ლ | 700 | 8400 | იხ.პუნქტი 2.2.1 | იხ.პუნქტი 2.1. | იხ.პუნქტი 1.2. |
| 2 | დიზელი „ევრო 5" | ლ | 700 | 8400 | იხ.პუნქტი 2.2.2 | იხ.პუნქტი 2.1. | იხ.პუნქტი 1.2. |

**1.2. საქონლის მიწოდების ვადები**: ხელშეკრულების მოქმედების ვადა სავარაუდოთ განისაზღვრება 2026 წლის 25 დეკემბრიდან ჩარჩო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის (ლოტის ღირებულება განისაზღვრება 37642,69 ლარით დღგ-ს გარეშე) ამოწურვამდე (განურჩევლად 1.1 პუნქტში მითითებული შესასყიდი პროდუქციის სახეობისა და რაოდენობისა), სრული ინფორმაცია ასახულია ხელშეკრულების პროექტში.

**1.3. ანალოგიური საქონლის მიწოდების შესაძლებლობა:** არ მოითხოვება

## 2. ზოგადი მოთხოვნა

**2.1. საქონლის გამოყენების ადგილი:** შპს „თელმიკოს" ავტოპარკი, საქართველო, თბილისი, ოთარ ჩხეიძის ქ № 10. პროდუქცია (ბენზინი და დიზელის საწვავი).

**2.2. მოთხოვნა საქონლის მიმართ**

**2.2.1 მოთხოვნა ტექნიკური მახასიათებლების მიმართ:** ბენზინი „პრემიუმი"

ცხრილი №2

| № | მახასიათებლები | დამკვეთის მოთხოვნა |
|---|---|---|
| | პირობითი აღნიშვნა | მაჩვენებელი |
| 1 | ტყვიის შემცველობა გ/ლ, | არაუმეტეს 0,005; |
| 2 | ბენზოლის მოცულობითი წილი, % | არაუმეტეს 1; |

| | | |
|---|---|---|
| 3 | არომატული ნახშირწყალბადები, % | არაუმეტეს 35. |
| 4 | გოგირდის შემცველობა, მგ/კგ | არაუმეტეს 10; |

**2.2.2 მოთხოვნა ტექნიკური მახასიათებლების მიმართ:** დიზელი ევრო 5 **ცხრილი №3**

| **№** | **მახასიათებლები** | **დამკვეთის მოთხოვნა** |
|---|---|---|
| | პირობითი აღნიშვნა | მაჩვენებელი |
| 1 | ცეტანური რიცხვი | არანაკლებ 51; |
| 2 | გოგირდის შემცველობა, მგ/კგ | არაუმეტეს 10; |
| 3 | სიმკვრივე 150C, კგ/მ3 | არაუმეტეს 845; |
| 4 | პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები, % | არაუმეტეს 11. |

**შენიშვნა: მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ტექნიკური წინადადება მომხმარებლის ტექნიკური მოთხოვნის შესაბამისად (პუნქტები: 2.2.1; 2.2.2;)**

**2.3. მოთხოვნა გამოყენებული საქონლისა და მოწყობილობის მიმართ:** არ მოითხოვება.

**2.4. მოთხოვნა საქონლის შესაბამისობის მიმართ ტექნიკური რეგულირების შესახებ კანონმდებლობის სავალდებულო მოთხოვნებთან**

**2.4.1.** ბენზინი „პრემიუმი“ უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის №229 დადგენილების ნორმებს და ევროკავშირის EN228 სტანდარტს;

**2.4.2.** დიზელი „ევრო 5“ უნდა შეესაბამებოდეს, 2021 წლის 27 ივლისის - საქართველოს მთავრობის დადგენილება №380 -სა და ევროკავშირის მიერ დადგენილ EN590 სტანდარტს.

**2.5. მოთხოვნები საქონლის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების შესახებ:** თავის წინადადებებში შესყიდვის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის შესაბამისობის სერტიფიკატები.

**2.6. მოთხოვნები საგარანტიო ვადის მიმართ და (ან) მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის გარანტიის მოცულობის მიმართ:**
მონაწილე გარანტიას იძლევა, რომ პროდუქცია შეესაბამება ტექნიკური დავალების მე-2 ნაწილში მითითებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

**2.7. მოთხოვნები მიწოდებული საქონლის ექსპლუატაციის ხარჯებისა და ტექნიკური ხარჯების მიმართ:** არ მოითხოვება

**2.8. მოთხოვნები ინტელექტუალური უფლებების გადაცემის მიმართ:** არ მოითხოვება

**2.9. საქონლის მიწოდების დროს თანმხლები სამუშაოების განხორციელების მოთხოვნა:** არ მოითხოვება

**3. მოთხოვნა საქონლის მიწოდების შესრულების მიმართ**

**3.1. მოთხოვნა მიწოდების მოცულობის მიმართ:**

**3.1.1.** ბენზინი „პრემიუმი“ - 700 ლიტრი (თვეში სავარაუდო მოხმარება); 8400 ლიტრი (წლიური სავარაუდო მოხმარება)

**3.1.2.** დიზელი „ევრო 5“ - 700 ლიტრი (თვეში სავარაუდო მოხმარება); 8400 ლიტრი (წლიური სავარაუდო მოხმარება).

**3.2. მოთხოვნა შესასყიდი საქონლის ტარისა და შეფუთვის მიმართ:** არ მოითხოვება.

**3.3. მოთხოვნა საქონლის მიღების მიმართ:**

3.3.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემკვეთისთვის ელექტრონული/ვირტუალური პირადი კაბინეტის ხელმისაწვდომობა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება საწვავის შეკვეთა, საწვავის ბარათების მართვა და თითოეული ბარათისთვის განსაზღვრული ლიმიტების კონტროლი.

3.3.2. პირად კაბინეტში შესაძლებელი უნდა იყოს საწვავის შეკვეთის განხორციელება ონლაინ რეჟიმში, საწვავის სახეობისა და რაოდენობის მითითებით.

3.3.3. პირად კაბინეტში შემკვეთს უნდა შეეძლოს თითოეული საწვავის ბარათის მიხედვით არსებული ლიმიტის, გამოყენებული საწვავის რაოდენობისა და დარჩენილი ნაშთის რეალურ დროში ნახვა.

3.3.4. პირად კაბინეტში ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს თითოეული საწვავის ბარათით განხორციელებული ოპერაციების დეტალური ისტორია, მათ შორის საწვავის სახეობა, რაოდენობა, ღირებულება, თარიღი და ოპერაციის განხორციელების ადგილი.

3.3.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პირად კაბინეტზე წვდომა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მომხმარებლებისთვის და ინფორმაციის დაცულობა.

**3.3.6** დამკვეთი ფაქტიური მოთხოვნისამებრ, ყოველთვიურად განახორციელებს საწვავის შეძენას თანხის (ლოტის ღირებულება განისაზღვრება 37642,69 ლარით დღგ-ს გარეშე) სრულ ამოწურვამდე ;

**3.3.7.** საქონლის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ შემკვეთის ვირტუალურ ანგარიშზე შეთანხმებული ლიმიტების ჩარიცხვის გზით, რომელთა ნახვა და კონტროლი შესაძლებელია შემკვეთის პირად კაბინეტში.

**3.3.8.** საქონლის მიწოდებისა და მიღების მომენტად ითვლება შესაბამისი ლიმიტების შემკვეთის ვირტუალურ ანგარიშზე ჩარიცხვისა და პირად კაბინეტში მათი ასახვის თარიღი.

**3.3.9.** ლიმიტების ჩარიცხვის ფაქტი დასტურდება ორმხრივი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელშიც მიეთითება საწვავის სახეობები, ჩარიცხული ლიმიტების მოცულობები, მათი ღირებულება და ჩარიცხვის თარიღი.

**3.3.10.** შემკვეთს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რეალურ დროში, პირადი კაბინეტის მეშვეობით იხილოს ჩარიცხული ლიმიტები, მათი გამოყენება, დარჩენილი ნაშთი, აგრეთვე თითოეული საწვავის ბარათის მიხედვით განხორციელებული ოპერაციების დეტალური ინფორმაცია.

**3.4. უსაფრთხოების მოთხოვნებთან და საქონლის ხარისხის მაჩვენებლებთან შესაბამისობის შესაფასებელი დოკუმენტაცია:** არ მოითხოვება.

**3.5. მოთხოვნა ანგარიშსწორების წესის მიმართ:** სრული ინფორმაცია წინამდებარე ტექნიკური დავალების 3.5 თავის შესახებ ასახულია ხელშეკრულების პროექტში - (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების გადახდა წარმოებს მიმწოდებლის მიერ სრული დოკუმენტაციის - ინვოისი/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, ორმხრივად დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტის (ორიგინალი) და სხვა დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენის დღიდან 30-ე დღეს (თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა გამოსასვლელ ან უქმე დღეს, ანგარიშსწორება წარმოებს პირველივე სამუშაო დღეს).

**3.6. დამატებითი მოთხოვნები საქონლის მიწოდების მიმართ:** არ მოითხოვება.

**4. მოთხოვნა შესყიდვის მონაწილეების მიმართ**

**4.1. ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების მოთხოვნა:** შესყიდვის მონაწილემ უნდა დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვაზე წინადადების წარდგენის თარიღამდე მას აქვს მსგავსი მიწოდების გამოცდილება, არანაკლებ 3 შესრულებული ხელშეკრულება ბოლო 3 წლის განმავლობაში. ამასთან, თითოეული ხელშეკრულების თანხა უნდა შეადგენდეს შესყიდვის მონაწილის შემოთავაზებაში მითითებული თანხის არანაკლებ 50%.

**4.2. მოთხოვნები თანხების ბრუნვასთან, საბანკო გარანტიის წარმოდგენის მიმართ:** არ მოითხოვება

**4.3. შესყიდვის მონაწილემ საკონკურსო წინადადების უნდა წარმოდგენოს:**

**4.3.1** ერთი ლიტრი საწვავის ფასი - რომელიც მოქმედებს ბაზრის კვლევის მომენტში მათ ოფიციალურ ვებგვერდზე;
**4.3.2** ფიქსირებული ფასდაკლება ერთ ლიტრ საწვავზე, რომელიც ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში აღარ შეიცვლება.

**4.4. დამატებითი მოთხოვნა მომწოდებლის მიმართ**

4.4.1. 7 ცალი პლასტიკური ბარათი უსასყიდლოდ;

4.4.2. პლასტიკური ბარათის დაზიანების შემთხვევაში ის უნდა შეიცვალოს უსასყიდლოდ;

4.4.3. შეთავაზების მოქმედების ვადა -პუნქტი 1.2 - შესაბამისად.

4.4.4 პლასტიკური ბარათები თავის მაიდენტიფიცირებელი ნომრებით მიბმული უნდა იყოს შპს „თელმიკოს" ავტოპარკში არსებულ თითოეულ ავტომობილზე ცალ-ცალკე;

4.4.5 პლასტიკური ბარათების დაბლოკვა შესაძლებელი უნდა იყოს პირადი კაბინეტიდან.

4.4.**6.** ავტოგასამართი სადგურები განლაგებული უნდა იყოს როგორც თბილისში (არანაკლებ 10 სადგურისა ქ. თბილისში), ასევე საქართველოს მასშტაბით. წარმოდგენილი უნდა იყოს ბენზინგასამართი სადგურების მისამართები.

5. **სატენდერო მასალებში წარმოდგენილი უნდა იყოს:**

5.1. შესაბამისობისა და ხარისხის სერტიფიკატები;

5.2 მონაწილე წარმოადგენს ლიცენზიას, ნებართვას ან სხვა შესაბამის დოკუმენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დოკუმენტის არსებობა სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**შეთანხმებულია:**

**ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი** **მ. არჩუაძე**

**ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი** **ლ. თოთაძე**

ტექნიკურ დავალებასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი ლევან თოთაძე; ტელ: 591 947110. ელ.ფოსტა: levan.totadze@telmico.ge;